# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 6 (4565) ● 11 აპრილი ● 2018 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი


მწერალი მოსწავლეების კვირფასი სტუმარი

## კერძო სკოლა „ივერონში“

**გუშინდელი** გაზეთი დღეს ისტორიის კუთვნილებაა!.. დაფიქრებაც გვმართებს!..

და მაინც, რა კვალს ტოვებს ერთ-დღიანი არსებობა გაზეთისა ადამიანის ცხოვრებაში?!. ... თუნდაც ისტორიულად ქცეული ერთი დღე?!

ფიქრს გავემიჯნოთ, ერთი რამ კი ნათელია – გაზეთი შეიძლება მართლაც ერთ დღეს ცოცხლობდეს... და გაზეთის რომელიმე სტატიას ხომ შეიძლება დიდი ხნის სიცოცხლე, იქნებ მარადიულობაც დაჰყვეს?!

ამგვარი მარადიული სიცოცხლის შთაგონებით იწერება ეს სტატიაც (დიდად გავიხარებდი, თუკი ეს სტატია თავს წაგაკითხებთ... იუმორით).

სტატიის ძალა და ხიბლი სტუმარ-მასპინძლობაშია.

„ხამს სტუმარი სასურველი“– მწერალი **გურამ დოჩანაშვილი.**

„მასპინძელი“ – კერძო სკოლა **„ივერონის“** წიგნისმოყვარულთა კლუბი.

იდეის ავტორები – ქალბატონი **ციცო ჯაფარიძე** და **ნინო კობახიძე** – სკოლა „ივერონის“ დამფუძნებელნი.

აზროვნების აკადემიადქცეული, ლიტერატურული სალონი და ლოცვად აღვლენილი დღეც... „კარცერ-ლუქსად“ ქცეულ სალონს გადაჰფენოდა ზღვა სითბო, სიყვარული ... იყო მოლოდინიც... ივსებოდა მოთმინების ფიალა...

...აი, ბატონი გურამიც... ჩვეული სიდინჯით იდუმალების ლაბირინთებიდან მოარღვევს მასპინძელთა აზვირთებულ სიყვარულის ტალღას...

მშვენიერი ხარ... შეჩერდი წამო!..

სიტყვას იღებს „წიგნის უფლად მქადაგებელი“ ქალბატონი ნინო...

ქართული სიტყვის მირონცხებული მადლი იფრქვეოდა დაუნჯებულ სივრცეში საგალობლის ჰანგებით.

„თუ სადმე წახვალ არედ, წიგნით და მხოლოდ წიგნით“ – ბრძანებდა გალაკტიონი... ფიცივით იმეორებდა სტრიქონებს მასპინძელი. განა უკეთესად შეიძლებოდა თქმულიყო?!.

ქართული სიტყვის მადლცხებული სიდიადე თუ კულტურის ნატიფი ხელოვნება ერთსულოვნად ერწყმოდა დიდებულ ეროვნულ საუნჯეთა სამებას – **„ბიბლიას“, „ვეფხისტყაოსანსა“** და **„ქართლის ცხოვრებას“** – დასაბამიდან რომ თავს იწონებდა თუ თაყვანს სცემდა თაობები იდეალური რწმენით:

„საქართველოში უნდა იცხოვრო,
ღმერთთან საუბრის გქონდეს
უფლება!..“

და **„სამოსელი პირველი“** – **გურამ დოჩანაშვილის** რჩეული რომანიც... ბიბლიური სახისმეტყველებით, საუფლო სიტყვით თუ ღვთის გულიდან ნაკარნახევი წიგნი, რომლითაც უნდა შეიმოსოს მკითხველი, დაიბრუნოს ხატი და მსგავსება ღვთისა!..

მასპინძლის სიტყვას კლასიკოსი მწერლის, „უფლის სიტყვის მქადაგებლის“, ბატონი გურამის ცხოვრების ისტორია ენაცვლება...

ჩუმი, შინაგანი სიდიადით სავსე ბიბლიურ პერსონაჟს ჰგავდა თეთრი იერსახით, ცისფერი თვალებით, საოცრად მშვიდი და ...

ისევ შეგონება: „ხელოვნება სულიწმიდაა... სულიწმინდის მადლი... ვერასოდეს მოიგონებს და შექმნის ადამიანი იმას, რაც ბიბლიაში არაა!..

ბიბლიიდან მოდიან **ბახიც, მიქელანჯელოც, რუსთაველის ყველა აფორიზმი ბიბლიურია...** შემოქმედის დანიშნულებაა ბიბლია უბიბლიოდ მიიტანოს მკითხველამდე.

შემოქმედისათვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა, თუ იგი ყველა ასაკში შეინარჩუნებს ახალგაზრდულ სულს.

გაბედულება ყოველთვის მიზნის მიღწევის უპირველესი საწინდარია!.. აკადემიური სიტყვით მიესალმა სტუმარს პედაგოგი **თამილა ხუბუა.** კითხვა-პასუხის ფონზე იყო აზრთა გაცვლა-გაზიარება პედაგოგებისა: **იზა** და **ნონა გარსენიშვილების, თათია გიგანის, ლალი ლამბრიანიძის,** ბიბლიოთეკის გამგის **ლამარა თოდრიას,** მშობლის **ანა ჯაფარიძის,** სკოლის წარჩინებული მოსწავლის – **ლუკა ბერიშვილისა.**

ერთ-ერთ სიბრძნეს გავიხსენებდი: „მე ვქსოვ ხალიჩას, რომელსაც კიდე-განი არა აქვს“.

და ასე „იქსოვებოდა კითხვა-პასუხის ხალიჩაც ჩვენს სტუმართან.

***

**–თქვენ, იოლად წასაკითხი, თვალის გადავლებით აღსაქმელი მწერალი არა ხართ, მაგრამ მაინც არ გაკლიათ პოპულარობა... თვით წერის პროცესში რამდენად ფიქრობთ მკითხველზე?**

– ვინც მკითხველზე არ ფიქრობს, ტყუილუბრალოდ იგდებს თავს ისეთ შრომაში, კატორღაზეც რომ უარესია...

**– მოუსვენარმა, შემოქმედებითმა ცხოვრებამ თუ საქართველოს მთასა და ბარში მოგზაურობამ რა მოგცათ ღირებული?**

– ოცნებები ბოლომდე ვის ახდენია, მაგრამ თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ჩემს სამ ძირითად პროფესიათაგან ერთ-ერთს, არქეოლოგობას რომ მივუძღვენი გარკვეული დრო, – 28 არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილე ვარ.

**– თანამედროვე ქართულ მწერლობაზე რას იტყვით?**

– დუმს... იცით, **დავით გურამიშვილი** მიყვარს განსაკუთრებით... ერთი შეხედვით, აკადემიურია, თითქოს უცნაურიც... დღეს რომ ასეთი კაცი გვყავდეს?!

**– თქვენი პირველი მკითხველი?**

– ჩემი მეუღლეა, „არაუშავს“ შეფასებით რომ „მათამამებს“.

ბატონი გურამი ბაბუაა, მშვიდი, კეთილი, სიცოცხლით აღსავსე.

განსაკუთრებული ბიბლიური სიყვარულით თაყვანს სცემს ჩვენს უწმინდესსა და უნეტარეს **კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს** უდიდესი სასოებისათვის, „ჭირსა შიგან გამაგრებისათვის“...

**– რას უსურვებდით ჩვენს ახალგაზრდობას?**

–პასუხისმგებლობას ყველაფერში, მოკრძალებას, თავაზიანობას...

**– თქვენი შემოქმედებითი გეგმები?**

– მარტივია, ხვალემ იზრუნოს ხვალისა!

**– და მაინც, როგორ გესახებათ მწერალი?**

– უპირველესად მოქალაქე უნდა იყოს, გინდაც საწერ მაგიდას არ სცილდებოდეს!..

***

...და იყო ღრმააზროვანი მსჯელობა, მახვილგონივრული არგუმენტები, ფანატიკური სიყვარული ლიტერატურისა, ინტელექტუალური იუმორიც...

სულის სიმაღლე დავანებულიყო სალონში...

ამ დღემ, ალბათ, მოსწავლეთა ცნობიერებაში „რევოლუციაც“ კი მოაწყო...

...და ვგრძნობ უფლის ხვავრიელ ძალას, შიგადაშიგ სიტყვის სიძუნწესაც, რამეთუ უთქმელი ნათქვამზე მეტია, რომ დუმილი ზოგჯერ უკეთ მეტყველებს...

აუდიტორიის ემოციური ზემოქმედებით იწერება სტატიაც.

***

და ასე... აზრი-აზრს ეჭიდებოდა, ამბავი-ამბავს!..

და ... იყო წერტილდაუსმელი აზრთა ჭიდილი!..

...იყო ისტორიადქცეული მარადიულობა!..

**P.S.** სკოლა **„ივერონის“** საამაყო ქალბატონო **ციცო! ქალბატონო ნინო!**

ამ დღემ უფრო სრულად, უფრო შთამბეჭდავად გაგვაცნო კლასიკოსი მწერალი **გურამ დოჩანაშვილი,** უკლებლივ ყველა იმათაც, ვინც უკვე დიდი ხანია მისი მოტრფიალეცაა .

– უპირველესად კი თქვენ!.. და თქვენვე გეკუთვნით სულის ტვირთით გაჯერებული მადლიერება ისტორიადქცეული ამ ლამაზი დღისა, ბატონო გურამ.

**თინა ჩხეიძე**

## 14 აპრილი დედასენის დღეა

### ირაკლი აბაშიძე



### ხმა კაცამონთან

*ო, ენავ ჩემო,*
*დედაო ენავ,*
*შენ ჩვენო ნიჭო,*
*სრბოლავ და ფრენავ,*
*შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,*
*შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,*
*შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,*
*შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან...*
*უტკბილეს დღეთა*
*უტკბილეს წამთა,*
*უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო,*
*შენ, მწარე ლხინო,*
*ტკბილო სევდაო,*
*შენ, ყოვლის მთქმელო,*
*ყოვლის არ მთქმელო,*
*შენ, გმირთა გმირო,*
*ბრძენო ქართველო,*
*წარსულის ძეგლო, წინ გამხედავო.*
*ქვესკნელში მძრომო,*
*ცაში მჭვრეტელო.*
*ხან - ფუნჯო ჩემო, ხან - საჭრეთელო,*
*შენ, აკვნის ჰიმნო,*
*ცრემლო სამარის...*
*იბერის ენავ,*
*ენავ თამარის...*
*ო, ენავ ჩემო,*
*დედაო ენავ,*
*შენ, ჩემო ნიჭო,*
*სრბოლავ და ფრენავ,*
*შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,*
*შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,*
*შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,*
*შენ ერთს,*
*შენ ვერ გთმობ*
*სამარის პირთან.*

**მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!**

107-ე საჯარო სკოლის მრწამსი – აღსაზრდელთა საკეთილდღეოდ

# ილიაწილ ანდოლჯენ შვილეჯ

**ნათქვამია,** პირველი შთაბეჭდილება უტყუარიაო. ეს გამოთქმა ხან ამართლებს, ხან – არა. მაგრამ თბილისის 107-ე საჯარო სკოლაში სწორედაც გაამართლა: მეთოდკაბინეტში, უფრო დარბაზს რომ ჰგავს და მთლიანად აღჭურვილ-გამართულია წესისა და რიგისამებრ, დირექტორის მოადგილესთან, ქალბატონ **ეკატერინე ზარნაძესა** და ფსიქოლოგ **ია ჯიქიასთან** საუბარმა დამარწმუნა – ამ სკოლაში სწორედ პროფესიონალები მუშაობენ და ამ სასწავლო დაწესებულების 84 მუშაკიდან ვისაც გნებავთ, გავსაუბრებოდი, უმალ აშკარა შეიქნებოდა, რომ ყოველი მათგანი მცოდნე, გამოცდილი კადრია.

რატომ?

იმიტომ, რომ სკოლის წარმატება გუნდურ მუშაობაზე იგება. მისი თითოეული სეგმენტის გამართული, ურთიერთშეთანხმებული და მიზანმიმართული ყოველდღიური მუშაობის შედეგია.

მეთოდკაბინეტში სიტყვა, უნებურად, ინკლუზიურ სწავლებაზე ჩამოვარდა. განათლების სამინისტრო დიდ ყურადღებას აქცევს ასეთი საჭიროების მქონე ყმაწვილების აღზრდა-სწავლებას. გადაადგილების უუნარო ბავშვებს სპეციალური ტრანსპორტიც გამოუყო.

ინკლუზია ყველა ბავშვის ჩართულობას ნიშნავს. ამიტომ ასეთი განათლების მიზანი ყოველი ბავშვის ჩართვაა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. თითოეული ბავშვი ხომ ინდივიდია? ჰოდა, სწორედ ისეთი ინდივიდუალური გარემო უნდა შევუქმნათ, რომელშიც იგი რეალიზებულად, დაფასებულად იგრძნობს თავს.

განათლების სამინისტროს სპეციალისტი ადგენს ინკლუზიურია თუ არა ბავშვი (მშობლების თანხმობა დასკვნაზე აუცილებელია) და შემდეგ უკვე სკოლა იწყებს ინდივიდუალურ მუშაობას.

107-ე სკოლაში ასეთი სწავლების საჭიროების 14 ყმაწვილია. უნდა იარონ მათ საჯარო სკოლაში, თუ დღის ცენტრებში, ადრე რომ სპეცსკოლები ერქვა? დღის ცენტრებში ისინი მთელ დღეს ატარებენ, სპეციალისტები მათთან სპეცპროგრამებით მუშაობენ. საჯარო სკოლებში კი თითოეულ კლასში 25-30 მოსწავლეა. ასეთ ბავშვებს, ცხადია, განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ, რაც სხვებს აკლდებათ. ეგებ, ჯობდეს მათი მხოლოდ დღის ცენტრებში სწავლება? მაგრამ იქ რომ უმთავრესს ვერ შეძლებენ? – ურთიერთობის დამყარებას არა თავისნაირებთან, რაც ართულებს საზოგადოებაში ადაპტაციას. ეს მხოლოდ საჯარო სკოლებში მიიღწევა და 107-ე სკოლის პედკოლექტივის ძალისხმევით, ინკლუზიურ ბავშვებთან მუშაობის დიდებული შედეგებია, რისი ჩამოთვლაც ძალზე გაგვიგრძელებდა სიტყვას.

თუ სწავლა-აღზრდის ამ ურთულეს განხრაში წარმატებულია, ცხადია, მთლიანად სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესიც თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარიმართება. არადა, 1500 მოსწავლე ჰყავთ. ეს ხომ ამდენივე ხასიათი, მისწრაფება, ინტერესია და პედაგოგებმა ყოველი მათგანის გულისა და გონებისკენ მიმავალი გზა უნდა მონახონ.

107-ე სკოლაში სრულიად სამართლიანად მიიჩნევდნენ, რომ წარმატების უცილობელი პირობა აღსაზრდელთა უსაფრთხოება და გუნდური პრინციპით მუშაობაა მოსწავლეებთან, მშობლებთან, რაიონის რესურსცენტრთან. დამრიგებლები აკონტროლებენ მოსწავლეთა დასწრებას. მშობლებს გააცნეს სასწავლო გეგმის ძირითადი ასპექტები, შინაგანაწესი, სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას შვილების ყოფაქცევისა და სწავლის ხარისხზე. მასწავლებელთა და მშობელთა ერთობლივ მუშაობას ეხმარება სამეურვეო საბჭოცა და დისციპლინარული კომიტეტიც.

მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა მეტად დაახლოებასა და სკოლის ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობას უწყობს ხელს მოსწავლეთა თვითმმართველობის მიზანმიმართული, გააზრებული მუშაობაც. თვითმმართველობამ მრავალი საინტერესო პროექტი, ინიციატივა შესთავაზა თანატოლებს, პედაგოგებს, მშობლებს და სკოლაც ყოველმხრივ ეხმარება მათს წარმატებულად განხორციელებაში.

გამართულად, ურთიერთშეთანხმებულად მუშაობს სკოლის შვიდივე საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის (ხელმძღვანელი – **ნონა დავითაშვილი**); მათემატიკისა (**მაია მათიაშვილი**); საბუნებისმეტყველო (**ირინა აბრამიშვილი**); უცხო ენებისა (**ელისო ზანგურაშვილი**); ესთეტიკისა (**ქეთევან ოთიაშვილი**); დაწყებითებისა (**ირმა ბლიაძე**); საზოგადოებრივისა (**მანანა გიგიბერია**); შემუშავდა მუშაობის პრიორიტეტული მიმართულებები: საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნების სწავლების კოორდინირება; ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, პროფესიული განვითარების გზების დასახვა. მასწავლებლები აქტიურად არიან ჩაბმულნი პროფესიული განვითარების სქემაში და განუხრელად ზრუნავენ თვითგანვითარებაზე. ადმინისტრაცია ყოველმხრივ უწყობს ხელს პედაგოგთა პროფესიონალურ ზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

შეფასების სამი ჯგუფია. ფასილიტატორებმა: **ნინო კოვზიაშვილმა, ლელა გამცემლიძემ, თამარ დევნოზაშვილმა** სპეციალური მომზადება გაიარეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში.

მათი მუშაობის მიზანია: ხელშეწყობა მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიონალური განვითარებისთვის; დახმარება პირადი პროფესიონალური განვითარების დაგეგმვაში, წარმართვასა და შეფასებაში; ურთიერთთანამშრომლობის კულტურის ამაღლება.

ეს მუშაობა მთელ პედკოლექტივს მოიცავს.

კოლეგებს გამოცდილებას უზიარებენ, პირადი მაგალითით შთააგონებენ ღვაწლმოსილი პედაგოგები **ლეილა კარიაული, დალი რობაქიძე, ნინო სესაძე, ჟუჟუნა ჟუჟუნაშვილი, ელენე მესაბლიშვილი.**

კოლექტივს სათავეში უდგას გამოცდილი სპეციალისტი და კარგი მენეჯერი ბატონი **გიორგი ერაძე.** მან 2006 წელს დაამთავრა ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი. მუშაობდა კერძო ბიზნესის სფეროში. იყო მანდატურის საპილოტე პროგრამის ერთ-ერთი მანდატური. დაამთავრა პოლიციის აკადემია. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია ძალისმიერ სამჭიდში.

იგი ახალგაზრდული ენერგიით უძღვება საქმეს. პედაგოგები პატივს სცემენ და აფასებენ მის მონდომებას, კოლეგებთან ურთიერთობისა და მოსწავლეებთან კონტაქტის დამყარების უნარს.

ასევე წარმატებულია დირექტორის მოადგილის **ზურაბ ჭინჭარაულის** მუშაობა.

სკოლას შარშან 4-ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალოსანი ჰყავდა. შესაბამისად, **თათია არაბული, ქეთევან მერაბიშვილი, თამაზ ხუციშვილი, მარიამ ქისტაური** და **ლიკა ხვადაგიანი.** წლეულს ოქროს მედლის ხუთი კანდიდატია: **მათე ბალიაშვილი, ანა ქურციქიძე, ანი ახვლედიანი, გვანცა კოკოზაშვილი** და **ფრიდონ ბაღაშვილი.** ქართულში ეროვნული ოლიმპიადის III ტურში გადავიდა XI კლასის მოსწავლე **მარიამ მაზიაშვილი.** მრავალი მოსწავლე მონაწილეობდა წარმატებით კინგსის, რობინსონისა და სხვა ოლიმპიადებსა თუ კონკურსებში.

ლილოს დასახლება, სადაც 107-ე სკოლა მდებარეობს, დიდია, მაგრამ სულ ორი საჯარო სკოლაა. ანუ, მშობლებს დიდი არჩევანი არა აქვთ, სად მიიყვანონ, ვის ანდონ შვილები. მით უფრო, რომ ეს დასახლება ერთგვარად მოწყვეტილია ქალაქს. ამიტომ კიდევ უფრო სიხარულია, რომ დასახლებაში არის სკოლა, ვის კოლექტივსაც თამამად შეიძლება ანდონ შვილები, რადგან 107-ე საჯარო სკოლის პედაგოგთა არსი და მრწამსი სწორედ აღსაზრდელთა საკეთილდღეოდ არის მიმართული.

**კოტე სარალიძე**

**წარმატებული დირექტორი და პედკოლექტივი უდრის წარმატებულ სკოლას**

# კოლეგიალობასა და კეთილგანწყობაზე დაფუძნებული



**დიდებული** ვოკალისტი, ქირურგი, სპორტსმენი, მხატვარი, პედაგოგი, ინჟინერი, კომპოზიტორი... რა დგას მათი ყოველი ინდივიდუალური მიღწევის მიღმა? ვინ, რამ განაპირობა მათი ზესვლა? შესატყვისი დარგების, სახეობების სპეციალისტთა შრომამ, ვინც ზრდიდა, ამზადებდა მათ. ასეთი მუშაობა აუცილებლად დღენიადაგ მიზანმიმართული, ურთიერთგაგებული, მეგობრული უნდა ყოფილიყო. აი, ისეთი, საერთო მიზნის მისაღწევად რომ შეადუღაბებს ხოლმე ადამიანებს. სხვაგვარად, მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი, ანუ შეგირდთა მომზადების დონე, შესაძლებელზე გაცილებით დაბალი იქნება.

სწორედ ურთიერთპატივისცემაზე, ნდობასა და სიყვარულზეა დაფუძნებული 92-ე საჯარო სკოლის მთელი კოლექტივი და სწორედ ასეთი კოლეგიალობა განაპირობებს დიდი მისიის – სამშობლოსათვის ფიზიკურად

ჯანსაღი, ზნეობრივად მდგრადი, მცოდნე თაობების წარმატებულ აღზრდას.

იქ, სადაც კოლექტივის ყოველ წევრს აქვს გასიგრძეგანებული, რომ მხოლოდ ერთობლივი მუშაობითაა შესაძლებელი საერთო მიზნის მიღწევა, სადაც პატივს სცემენ, აფასებენ ურთიერთის შრომას და მყისვე მზად არიან დახმარების ხელის გასაწვდენად, საერთო მიზანი, რაგინდ რთული იყოს, უთუოდ მიიღწევა.

**თბილისის 92-ე საჯარო სკოლის თვალსაჩინო წარმატებების ქვაკუთხედი პედაგოგთა ზემოაღწერილი ურთიერთობა და საქმის ცოდნაა – 42 პედაგოგიდან – 27 სერთიფიცირებულია.**

სკოლის ადმინისტრაციამ, დირექტორმა – ბატონმა **მიხეილ ჩიქოვანმა**, მისმა მოადგილემ **მზევი ცომაიამ** კარგად უწყიან, რომ ჯერ კოლექტივში უნდა იყოს საქმიანი, ჯანსაღი გარემო და შემდეგ – ასეთი გარემოთი განპირობებული წარმატებები.

**მიხეილ ჩიქოვანი:** „შეკრული კოლექტივია. ერთი – ყველასათვის, ყველა – ერთისათვის. აი, ამ პრინციპით ვმუშაობთ. დიდებული სპეციალისტები და პიროვნებები არიან. ყოველ ჩვენგანს აქვს პრობლემები, მაგრამ სკოლის ზღურბლს რომ გადმოაბიჯებენ, პირადულს კარს მიღმა ტოვებენ და მთელ ძალისხმევას მოსწავლეებს ახმარენ. აგერ, სასწავლო წელი იწურება და საყვედურიც არავისთვის გამომიცხადებია. პირიქით, მადლობასა და წახალისებას იმახურებს უკლებლივ ყველა. ქალბატონი მზევი ჩინებული სპეციალისტი და ორგანიზატორია. ბუღალტერი **ეკატერინე მამესწარაშვილი**, საქმისმწარმოებელი **მაია ზაქარაია** დიდებულად უძღვებიან საქმეს. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი **ზაზა ბაიდარაშვილი** ხომ ლამის ათენ-აღამებს სკოლაში. ყოველი მუშაკი ქმნის იმას, რასაც სკოლის წარმატება ჰქვია.“

**92-ე სკოლა ადრე რუსულ-ქართული იყო. მისი „გადმოქართულების“ ურთულესი პროცესი ისე წარიმართა, ისე ოსტატურად დაიგეგმა და განხორციელდა, რომ სასწავლო-აღმრზდელობითი პროცესი არ შეფერხებულა. მოსწავლეთა რაოდენობამაც იმატა – 700 აღსაზრდელია. ცხადია, მშობელი იქ მიიყვანს შვილს, ვისი სიკეთეც ესმის.**

განათლების სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობს სკოლებში ჰიგიენის დაცვას. მთლიანად განახლდა სკოლის მეოთხე სართული. სველი წერტილები, სკოლის დაარსებიდან – 1979 წლიდან რომ არ შეკეთებულა, სრულად რეაბილიტირებულია. დირექტორი ძალზე ემადლიერება სამინისტროს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურების განვითარების სააგენტოს, ნებისმიერ პრობლემას ოპერატიულად და ხარისხიანად რომ აგვარებს. სამინისტროსავე ინიციატივითა და სახსრებით მოეწყო თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად აღჭურვილ-გამართული სამედიცინო კაბინეტი.

გამართულად, მიზანმიმართულად და ურთიერთკოორდინირებულად მუშაობს სკოლის რვავე საგნობრივი კათედრა: დაწყებითების (ხელმძღვანელი – **თეა მუმლაძე**); ქართულისა (**ანა მარანელი**); მათემატიკისა (**ცაცა ლეკიშვილი**); საზოგადოებრივ მეცნიერებათა (**ნანა ლეფსვერიძე**); უცხო ენებისა (**მაკა ალანია**); საბუნებისმეტყველო (**მაგული ცხადაძე**); სპორტისა და ესთეტიკისა (**მანანა ჩიქვილაძე**); სადამრიგებლოსი (**თამარ ფირცხალავა**).

სამეურვეო საბჭო (თავმჯდომარე – **ნინო ჯიღაური**), მოსწავლეთა თვითმმართველობა (ხელმძღვანელი – **მარიამ სამხარაძე**) ის სეგმენტებია, რომლებიც პედაგოგების, მშობლების, მოსწავლეების დაახლოებას, ერთობლივი მუშაობის ხარისხიანად, შემოქმედებითად წარმართვას უწყობს ხელს.

მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ ყველა ოლიმპიადასა თუ კონკურსში. „კინგსში“ სხვადასხვა ხარისხის დიპლომი მოიპოვა 40-მდე მოსწავლემ. XI კლასელმა **თორნიკე კოხრეიძემ** კი გაიმარჯვა. IV კლასის მოსწავლემ **ლუკა მგალობლიშვილმა** ქართულსა და მათემატიკაში მოიპოვა პირველი ხარისხის დიპლომები, ხოლო ინგლისურში – მესამე ხარისხისა. სკოლაში მატემატიკური ოლიმპიადის – „ევერესტის“ მრავალი ფინალისტია.

ამჟამად მედლების სამი კანდიდატია: **გიორგი ბიწაძე, ელინა ოგანესიანი** და **მარია მაქსუტიანი**. მაგრამ ყოველი თადარიგიანი მეურნე მუდამ გეგმავს, ჭვრეტს პერსპექტივას. ადმინისტრაციის, პედკოლექტივის გამოცდილი თვალი, ალღო და ყმაწვილების სიბეჯითე საშუალებას იძლევა უკვე XI კლასში დაინახო მომავალი მედალოსნები: **თორნიკე კოხრეიძე, ნიკო ბერძენიშვილი, დავით მაისურაძე, ლინა გიუნაშვილი, ალექსანდრე კრისტალოვი, ვალენტინა ხოდევრდიანი, ქრისტინე პეტროსიანი.**

გამახარა რომ მედლების კანდიდატთაგან, ჯამში, ნახევარი ვაჟია, რაც სხვა სკოლებში არ შემხვედრია.

92-ე სკოლაში კარგად უწყიან, რომ ჰარმონიული აღზრდა ცხოვრების ჯანსაღ წესს, ფიზიკურ და ესთეტიკურ განვითარებასაც გულისხმობს. ამიტომ მოქმედებს ჭადრაკის, ფეხბურთის, კიკბოქსინგის, ჭიდაობის, ბეისბოლის, ცეკვის, მუსიკის ფასიანი და უფასო წრეები.



სწავლასთან ერთად, სპორტსა და ცეკვაშიც თვალსაჩინოა აქაურ შეგირდთა წარმატებები. რამდენიმეს ჩამოვთვლით: **თემურ ფატარიძე** საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს; **ერიკ სომონიანმა** ძიუდოში ერთი ოქროსა და ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა; **დავით ასლანოვმა** იტალიაში გამართულ კარატეს მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვა; **ნიკოლოზ უსენაშვილი** კიკბოქსინგში საქართველოს ორგზის ჩემპიონია, აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირშიც გაიმარჯვა და ქართულში „კინგსის“ ოლიმპიადის ფინალისტიცაა; **ნიკა უზოევს** ფეხბურთში სხვადასხვა შეჯიბრებაში ოთხი ოქროსა და ვერცხლის ორი მედალი აქვს მოპოვებული, დასახელდა წლის საუკეთესო ფეხბურთელად.

**ნინო ჯანიაშვილმა** შარშან ლათინო-ამერიკულ ცეკვებში საქართველოს თასი დაისაკუთრა; **მარიამ სამხარაძემ** სამეჯლისო ცეკვებში საქართველოს თასი და პირველი ადგილი მოიპოვა; **ნოდარ ჯანიაშვილმა** სამეჯლისო ცეკვებში მესამე ადგილი დაისაკუთრა; **ელენე ცარციძე** სპორტულ ცეკვებში მერიის თასზე გამართული კონკურსის მედალოსანია.

სკოლამ, ისტორიის მასწავლებლის, **ხათუნა ჯვარაშვილის** ხელმძღვანელობით, ტრადიციულად აღნიშნა 9 აპრილი. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა **ნიკოლოზ ბარათაშვილის** დაბადების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოს გამართვას, პოეტის სახლ-მუზეუმში სტუმრობასა და კედლის გაზეთის სპეციალური ნომრის გამოშვებას გეგმავს.

განზრახულია საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გრანდიოზული ღონისძიების გამართვა.

***

**ეგზიუპერის** თქმით, ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ. ბავშვობა კი იჯახის გარეშე რაღა ბავშვობაა?! ბატონი მიხეილის დედა – ქალბატონი **მერი ჩიქოვანი** პედაგოგია. და მერე როგორი – ორჯერ აღიარეს წლის საუკეთესო მასწავლებლად! უამრავ ჯილდოზე, სიგელსა თუ მადლობაზე აღარაფერს ვიტყვით. ქალბატონი მერი დიდი ხანია 139-ე საჯარო სკოლაში აუფლებს ყმაწვილებს მათემატიკას.

ბატონმა მიხეილმა მედალზე დაამთავრა სკოლა; შემდეგ – წითელ დიპლომზე დედაუნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი. 1998-2008 წლებში მუშაობდა ტექნიკურ უნივერსიტეტში. შემდეგ კი „დედის წყალი გადაესხა“ – 2014 წლიდან 92-ე წარმატებული სკოლის, წარმატებული პედკოლექტივის წარმატებული დირექტორია, რაც, გავმეორდები, სკოლაში დამკვიდრებულმა უაღრესად მეგობრულმა, კეთილგანწყობილმა გარემომ განაპირობა, რაშიც, ცხადია, დიდია დირექტორის წვლილი.

**კონსტანტინე გურგენიძე**

**თბილისის 145-ე საჯარო სკოლა ამაყობს მიღწევებით**

# მაღალ შედეგებზე ორიენტირებულნი



**ხშირად** მსმენია, ზოგიერთ სკოლაში უფროსკლასელების გაკვეთილებზე დასწრების დონე დაბალიაო, რასაც ვერ ვიტყვით თბილისის 145-ე საჯარო სკოლაზე. სტუმრობისას საკლასო ოთახებში მოსწავლეთა სრული შემადგენლობა დამხვდა. დირექტორმა **მაია ოსიყმაშვილმა** ჩვენთან საუბარში ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკოლას ბავშვები უმიზეზოდ არ აცდენენ და მე-12 კლასელებშიც დასწრება სანიმუშოა. ეს მისასალმებელი ფაქტია. აქ მოსწავლეებისთვის სასიამოვნო გარემოს შექმნა დირექტორისა და პედკოლექტივის თავდადებული შრომის შედეგია. ჩანს, რომ ყველაფერი წესრიგშია, არის სისუფთავე, მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა, გარემონტებულია და სხვადასხვა თვალსაჩინოებით დამშვენებულია – ბიბლიოთეკა, კაბინეტ-ლაბორატორიები, დერეფნები და საკლასო ოთახები. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი

კი, მაღალ დონეზეა. დიდი ყურადღება ექცევა **დისციპლინას** და მოსწავლეთა შემოქმედებითი **უნარების** განვითარებას. სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, არის მეგობრული და კეთილსაიმედო გარემო. სკოლა უსაფრთხოა და არ შეიმჩნევა ძალადობის ფაქტები.

**მაია ოსიყმაშვილი** მას შემდეგ რაც თბილისის 145-ე საჯარო სკოლას ჩაუდგა სათავეში, ეს სასწავლო დაწესებულება უფრო აღორძინდა. მოსწავლეთა რაოდენობა გაორმაგდა, იყო 500 და ახლა ათასზე მეტია. ქალბატონი მაია შესანიშნავი მენეჯერია, არის ინგლისური ენისა და ლიტერატურის მაღალკვალიფიციური პედაგოგი და კვლავაც განაგრძობს თავის საყვარელ საქმიანობას. კარგად იცნობს განათლების სისტემას და ძალიან უყვარს ბავშვები, მეგობრული დამოკიდებულება აქვს თითოეულ მათგანთან. საპასუხო სითბოსაც იღებს მოსწავლეებისგან.

145-ე საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის წყალობით, აქ მუდამ ჯანსაღი ატმოსფეროა და პოზიტიური განწყობა სუფევს. მოსწავლეები მონაწილეობენ საინტერესო ღონისძიებებში, ფესტივალებში, პროექტებში და ოლიმპიადებში, საიდანაც გამარჯვებულები და დიპლომებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან. მე-4 კლასელი წარჩინებული მოსწავლე **ანანო ჯობავა** (დამრიგებელი **ლია გაბიანი**), შემოქმედებითი ნიჭით არის დაჯილდოებული და თავის დაწერილ თხზულებებს ჟურნალ **„მიჯნა“**-ში აქვეყნებს. სკოლას ყოველწლიურად ჰყავს წარჩინებული კურსდამთავრებულები, რომლებიც წარმატებით ჩაირიცხნენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ამჟამად, მე-12 (პირველ) კლასში (დამრიგებელი **მ. ლაშხია**) რვა მედალოსნობის კანდიდატია. ესენია: **ლაშა ცხვედაძე (ოქრო), მარიამ ჩუთლაშვილი (ოქრო), ზვიად დარსალია (ოქრო), თათია ოდიშელიძე (ოქრო), ანასტასია გორგასლიძე (ვერცხლი), მაგდა ონიკაშვილი (ვერცხლი), ვიქტორია გაგუა (ვერცხლი), ნანა ქეშელაშვილი (ვერცხლი); მე-12 (მეორე) კლასში** (დამრიგებელი **ი. ცუცქირიძე) სალომე ნადიბაიძე (ოქრო) და ნინო სიმსივე (ვერცხლი).**

სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად თანამშრომლობენ როგორც სამეურვეო საბჭო, ასევე მშობლები. ეფექტურად მუშაობს სკოლის თვითმმართველობა (თავმჯდომარე **ქეთევან ჩალათაშვილი**), რომელიც ხშირად აწყობს შემეცნებით ღონისძიებებს. დირექტორის მარჯვენა ხელია და თავის მოვალეობას შესანიშნავად ასრულებს მოადგილე **მარინა კოლუაშვილი.** დასაფასებელია ასევე, სპეცპედაგოგის **ლელა ხატიაშვილის** შრომაც, რომელიც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან კარგ შედეგებს აღწევს. სკოლაში ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი ექიმის კაბინეტი და ექიმი **აზა კობერიძე** ზრუნავს მოსწავლეების ჯანმრთელობაზე. ასევე, ფუნქციონირებს თანამედროვე ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა და მოსწავლეებს წიგნის კითხვას აყვარებს ბიბლიოთეკარი **ნინო ყულაშვილი.**



საგულისხმოა, რომ სკოლის მოსწავლეემა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვეს და მოიპოვეს **„მომავლის კლასი“**. თანამედროვე ტექნოლოგიებს საგაკვეთილო პროცესში იყენებენ როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები. სკოლას გააჩნია სოციალურ ქსელში სპეციალური გვერდი, სადაც დეტალურად შუქდება სკოლის საქმიანობა და მიღწევები. აქ დიდი ყურადღება ეთმობა ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას. მოსწავლეები მონაწილეობენ სპორტულ აქტივობებში, საიდანაც სიგელებით და თასებით დაჯილდოებულები ბრუნდებიან. სულ ახლახან, სკოლის ნორჩმა სპორტსმენებმა ფრენბურთში მოიპოვეს პირველი ადგილი, სამახსოვროდ კი, სიგელი და დიპლომი გადაეცათ. აპრილის ბოლოს, გამარჯვებული გუნდი, თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ ფრენბურთის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. სკოლა ასევე აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლე — ახალგაზრდობის სასახლესთან, სადაც ჩატარდა ღონისძიება წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით, პედაგოგი **მარეხ მოსიძე**. ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, სკოლაში ტარდება საგნობრივი კათედრების კვირეული, რომლის ფარგლებში არაერთი საინტერესო, საჩვენებელი გაკვეთილი და შემოქმედებითი ღონისძიება იმართება. აქტიურად მუშაობს დაწყებითების კათედრა, რომლის ინიციატივით ორიგინალური ნამუშევრების გამოფენა ჩატარდა (პედაგოგები: **თ. გაბიტაშვილი, მ. შავლაძე, დ. ჩინჩალაძე, შ. მაისურაძე, ი.ხუციშვილი, ნ. ღარიბაშვილი, მ. ფურცხვანიძე, მ. მექერიშვილი, ნ. ნინოშვილი**) აგრეთვე, ბავშვები ემზადებიან ზღაპრების საქალაქო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად (პედაგოგები: **ე. კუნდუხაშვილი, თ.ბეგაშვილი, ლ. ციცქიშვილი, შ. ხმალაძე, რ. ბერულაშვილი, ლ.გაბლიანი**) დედაენის დღესთან დაკავშირებით ტარდება ღონისძიება: **„ნატვრის თვალი წიგნში“** (პედაგოგი **ნინო ჯახია**, დამრიგებელი **ელზა კახურაშვილი**). სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული დედაუნივერსიტეტთან და სოხუმის უნივერსიტეტთან, რომლის პრაქტიკანტები სკოლის საგაკვეთილო პროცესში ერთვებიან.



145-ე საჯარო სკოლა ამაყობს კვალიფიციური, გამოცდილი კადრებით. აქ მუშაობს წამყვანი პედაგოგი **მარინე ბაგალიშვილი**, რომელიც მენტორობისთვის ემზადება. სკოლა ყოველწლიურად მონაწილეობს მათემატიკის ფესტივალ **„ევრესტ“**-ში, რომლის კოორდინატორია **ელენე ახალაია**. მათემატიკის პედაგოგები **ი. შავლაყაძე, ბ. გორაშვილი** აქტიურად თანამშრომლობენ ფესტივალის ორგანიზატორებთან.

სკოლის დირექტორის ინიციატივით, ხშირად ტარდება საქველმოქმედო ღონისძიებები. მაგალითად, მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობით, ახალი წლის დღეებში მოეწყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა სახელწოდებით: **„სიკეთე გადამდებია“,** საიდანაც შემოსული თანხა თბილისის ჩვილ „ბავშვთა სახლს“ გადაეცა. ამჟამად კი, სააღდგომოდ შეაგროვეს საჩუქრები და ისანი-სამგორის გამგეობასთან ერთად, გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ ოჯახებს გადასცემენ.

145-ე სკოლა ხარისხიან განათლებასა და მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. აქ ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ მოზარდებმა კარგი ცოდნა მიიღონ. სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი მოწოდებულია იმისათვის, რომ აღზარდონ ჯანსაღი და განათლებული მომავალი თაობა. ახალგაზრდა, ერუდირებული დირექტორის ხელმძღვანელობით გვჯერა, მიზანს მიაღწევენ.

**მზია გოგოძე**

„რანი გვინდა ვიყოთ“

# აფხაზეთის სკოლა — ოპტიმისტური გაბრწყინებით

**თბილისის** ზღვაზე, ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის მე-3 საჯარო სკოლა 2000 წლიდან ფუნქციონირებს. თავის დროზე მისი გახსნა სხვადასხვა გარემოებამ განაპირობა – ბავშვებს უტრანსპორტობის გამო, უახლოეს სკოლამდე, 3-4 კილომეტრის ფეხით გავლა უწევდათ; აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მშობელთა ნაწილს საშუალება არ ჰქონდა შვილებისთვის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი შეეძინა და უმძიმეს სოციალურ ფონზე, მათი თხოვნის საფუძველზე, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თაოსნობით, არასრული საშუალო სკოლა გაიხსნა საქართველოს ყოფილი პროფკავშირების სასწავლო ცენტრის არასტანდარტულ შენობაში. უმძიმესი პირობები იყო. ინფრასტრუქტურა – მთლიანად მოშლილი – არ ჰქონდათ დაფა, მერხები და სხვა სასწავლო ინვენტარი. ოპტიმიზმს რა არ შეუძლია – თავდადებული შრომით ფეხზე წამოდგომა შეძლეს და 2002 წლიდან საშუალო სკოლად გადაკეთდა, რომელიც, ამჟამად, თბილისის საჯარო სკოლებს ტოლს არ უდებს.

დირექტორი **სვეტლანა რურუა,** გამორჩეულად თბილი, უაღრესად ერუდირებული და ნიჭიერი ადამიანია. პროფესიით ფილოლოგი, სოხუმის პედაგოგიური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და ამ სკოლაში 2003 წლიდან მუშაობს, 2007-დან კი, უკვე 2-ჯერ, კონკურსის წესით არჩეული დირექტორია. წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა. დირექტორის ძალისხმევით, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა. სწავლისთვის სასურველი გარემო შეიქმნა. გაკეთდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი 8000 აღწევს, საიდანაც 3000-მდე მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურაა. სსმ ბავშვებისთვის არსებობს სპეც.ოთახი (სპეც.პედაგოგი – **ეკატერინე ნაყოფია**). წლევანდელი მეთორმეტეკლასელები, რომლებიც მალე მშობლიური სკოლის კედლებს დაემშვიდობებიან, განსაკუთრებული მონდომებით ემზადებიან „ბოლო ზარის“ ღონისძიებისთვის: **„რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი გვინდა ვიყოთ“.** ესენი არიან: **გოდერძი აბესაძე, დავით გვარმიანი, ვახტანგ ზიბზიბაძე, გიორგი თოლორაია, ანი კობახია, ნიკა კობახია, რომან ლომიძე, პაატა მამფორია, გიორგი მარგველიანი, ანა სილაგავა** (ოქროს მედლის კანდიდატი), **მარიამ ფარულავა, ნოდარი ქებაძე, ნონა ქობალია, გიორგი შელია, მარიკა შელია, გელა შენგელაია, სოფიო ჩალაძე, გიორგი ჯანგირაშვილი.**







საბაზო საფეხურის წარმატებით დასრულებისთვის (დაუმრგვალებლად 10 ქულა) სახელმწიფომ, პროგრამით – **„ჩემი პირველი კომპიუტერი“** – გასულ წელს ძვირადღირებული ლეპტოპებით დააჯილდოვა 2 მოსწავლე – **ანა** და **ელენე შელიები.** წლევანდელი „ლეპტოპისტი“ კანდიდატი კი **ნანა ძიძარია** გახლავთ.

მოსწავლეები ხალისით მონაწილეობენ საქართველოსა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროების მიერ ორგანიზებულ აქტივობებში, მეზობელი ქვეყნების ღონისძიებებში, იყვნენ ინგლისში, ბიოლოგიურ ექსპედიციაზე პერუში. მათ სისტემატურად უტარებთ ტრენინგებს ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო.

აქტიურობით გამოირჩევიან ლიტერატურული წრის ბავშვები, რომელთაც თავად დირექტორი ხელმძღვანელობს: იუნესკოს მიერ გამოცხადებულ, შოთა რუსთაველის წლისადმი მიძღვნილ საქალაქო დათვალიერება-კონკურსში – **„ჩვენ ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს,“** პირველი და მეორე ადგილი **გიორგი შელიამ** და **სანდრო ბასარიამ** დაიკავეს. მათ მიენიჭათ ლაურეატის წოდება, გადაეცათ სიგელები, პრიზები და ფულადი პრემიები; სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე მეორე ადგილი დაიმსახურა **ანა სილაგავას**

ნაშრომმა **„ვაზი და საქართველო.“** აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში დედის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, სადაც აფხაზეთში დაღუპულ გმირთა დედები იყვნენ მიწვეულები, წარმოადგინეს ილიას **„ქართლის დედა“** და გულაჩუყებული მაყურებელი ააცრემლეს. არიან საქართველოს ეროვნულ ინტელექტ ჩემპიონატ - ეტალონის ნახევარფინალისტები, რომელიც სულ მალე გაიმართება;

თვალშისაცემია სკოლის მოსწავლეთა სპორტული მიღწევები, რაც პედაგოგ **ვახტანგ ჩოჩიშვილის** დამსახურებაა: რამდენიმე წელია აფხაზეთის ჩემპიონატზე ჭადრაკში არა მხოლოდ პირველი, არამედ მეორე, მესამე და წელს უკვე მეოთხე ადგილის მფლობელები არიან, ასევე ჰყავთ სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფინალისტები გეზრბენში; 2001-02 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონია **დურმიშხან ჯოჯუა.**

ამ წარმატებებში უდიდესი წვლილი მიუძღვით სკოლის პედაგოგებს. ნაყოფიერად მუშაობენ კათედრები: ქართული ენა და ლიტერატურისა – ხელმძღვანელი **მედეა როდონაია;** მათემატიკისა – **მაია ქარჩავა;** საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა – **მარეხ ლაშხია;** უცხო ენებისა – **ხათუნა ლუხუტაშვილი;** საზოგადოებრივი მეცნიერებებისა – **ნაირა ქარდავა;** დაწყებითი კლასებისა – **იამზე ჯომიდავა;** ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდისა – **ვახტანგ ჩოჩიშვილი.**

სისტემატურად ტარდება საჩვენებელი გაკვეთილები. უფროსი და პრაქტიკოსი პედაგოგები ფასილიტატორ **მედეა ლომსაძესთან** ერთად ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ და მოსწავლეებს ცოდნის სამყაროში ამოგზაურებენ: ქართული ენისა და ლიტერატურისა – **სვეტლანა რურუა, შორენა ბელელაძე;** დაწყებითი კლასებისა – **შორენა ყურაშვილი, მანანა თოლორაია, თეონა მებონია;** მათემატიკისა – **დავით ახალაია;** ისტორიისა – **ია ჭანტურია;** ბუნებისა – **ნუნუ ძიძავა, ელისო ხაბეიშვილი;** ინგლისური ენისა – **სოფია ლურწკაია, თეა გელენავა-სიჭინავა;** გეოგრაფიისა – **ლიდა თოლორაია**; მუსიკისა – **ლანა ლეჟავა;** აფხაზური ენისა – **დარეჯან თაყაიშვილი.**

აქ, ყველა ერთად, დიდი სითბოთი და სიყვარულით ცხოვრობს და სწავლობს. სკოლას ერთი დიდი პრობლემა აწუხებს – შესასვლელში ფოიეს ნაწილი ორ დევნილ ოჯახს აქვს დაკავებული. საქმე სასამართლოშია, დახმარებისთვის უახლოეს მომავალში დევნილთა საბჭოსაც მიმართავენ, მათთვის ალტერნატიული ფართის გამოყოფის თხოვნით. იმედი გვაქვს, ამ წარმატებულ სკოლას მომავალში კიდევ უფრო კეთილმოწყობილს და გალამაზებულს ვიხილავთ.

**ნათია გურგენიძე**

კონფერენცია 23-ე სკოლაში

# ახალგაზრდობის პრობლემები – უპირველეს ყოვლისა

**ილია ჭავჭავაძის** სახელობის თბილისის 23-ე საჯარო სკოლა, რომელიც ფრანგული ენის გაძლიერებული სწავლების სტატუსით არის ცნობილი, საქართველოში რჩეულია და ლიდერია თავისი მდიდარი ისტორიული წარსულით. იგი მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული და გამოირჩევა სახელოვანი ტრადიციებით. სკოლის ძირითადი პრიორიტეტებია – მოსწავლეების ზნეობრივი და სულიერი აღზრდა, შემოქმედებითი უნარების განვითარება და ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა.

ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში 23-ე სკოლა უფრო გამოცოცხლდა, რაც ახალი დირექტორის **მაგდა ბარამიძის** დიდი დამსახურებაა. იგი ძალღონეს არ იშურებს სკოლის პრესტიჟის ასამაღლებლად. ქალბატონი მაგდას ინიციატივით, არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე და პროექტი განხორციელდება.

**„თანამედროვე ახალგაზრდობის პრობლემები, გადაჭრის გზები“** – ასეთი იყო თემა კონფერენციისა, რომელიც 23-ე საჯარო სკოლაში გაიმართა და მასში უფროსკლასელები მონაწილეობდნენ. კონფერენციის ორგანიზატორი გახლდათ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **კახა თოდაძე**, ხოლო მოდერატორი **მაგდა ბარამიძე.**

ქალბატონი მაგდა მოწვეულ სტუმრებს მიესალმა და აღნიშნა, რომ მოსწავლეებმა თავიანთი ინიციატივით მოამზადეს თემები და დამსწრე აუდიტორიას თხოვნით მიმართა, მკაცრად არ შეეფასებინათ მოზარდების ნამუშევრები. ნაჩვენები იყო ვიდეო-რგოლი, რომელიც ბავშვებთან ერთად ფსიქოლოგმა **თეა აბულაძემ** მოამზადა.

მოსწავლებმა ვრცლად ისაუბრეს განათლების პრობლემებზე, ბავშვთა ძალადობაზე, მოზარდთა დანაშაულზე, წიგნიერების დაბალ დონეზე, საბჭოთა სისტემაზე, ქურდულ მენტალიტეტზე, ნარკომანიაზე და ყველა იმ საჭირბოროტო საკითხზე, რაც აქტუალურია და თანამედროვე ახალგაზრდობას აწუხებს. მათი მოგვარება კი, ერთობლივი მუშაობით – ოჯახის, სკოლის, სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთიანი ძალისხმევით არის შესაძლებელი.

**კახა თოდაძე:** კონფერენციის ძირითადი მიზანია, მოსწავლეები გაეცნონ და იმსჯელონ ისეთ საკითხებზე, რომელიც ახალგაზრდებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. იმედია, ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს მოზარდებში ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორიცაა ალტერნატიული გზების ძიება და პრობლემების სხვადასხვა პოზიციიდან გააზრება. ამას გარდა, აღნიშნული კონფერენცია, მნიშვნელოვანი მოვლენაა სკოლის, როგორც გამოცდილების გაზიარების და სიახლეების გაცნობის თვალსაზრისით. ძალიან კმაყოფილი ვარ მოსწავლეების ინიციატივით, აქტიურობით და მომზადებული თემებით. გაგაცნობთ კონფერენციის მონაწილეებს: **მარიამ ჯიქია** (განათლების მიღების პრობლემები), **ლუკა კვარაცხელია** (ბულინგი), **გეგი გრიგოლავა** (მიუსაფარი ბავშვები), **ნია შიშინაშვილი** (დამოკიდებულებები მშობლებსა და შვილებს შორის), **ნათია გეგეშიძე** (საბჭოთა სისტემა), **თამთა თოდუა** (ქურდული მენტალიტეტი და ბავშვთა დანაშაული), **ტატო ლომსაძე** (ნარკოტიკები), **ქეთი ქაძანაია** (რამ მოსწყვიტა ახალგაზრდობა რეალობას?), **მარიამ ჩიბურდანიძე** (ინტერნეტი), **სალომე შენგელაია** (წიგნიერების დაბალი დონე), **ლიზი ტაბიძე** (ზოგადი პრობლემები).

კონფერენციას მოწვეული სტუმრის სტატუსით ესწრებოდა მწერალი **მიხო მოსულიშვილი,** რომელმაც წარმატებები უსურვა მოსწავლეებს და საკუთარი წიგნები საჩუქრად გადასცა სკოლას.

შეხვედრაზე, კონფერენციის მონაწილეებსა და დამსწრე აუდიტორიას შორის გაიმართა დისკუსია აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით. მოწვეულმა სტუმრებმა დადებითად შეაფასეს კონფერენციის მუშაობა და გადაწყდა შეიქმნას – საინტერესო ადამიანებთან შეხვედის კლუბი.

**მზია გოგოძე**

წუთისოფელი ბეწვის ხიდია

# ხახუტა ასანიძის პრდაპვიწყება

**უფალი** მოგვიწოდებს: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქვენი ზეციერი სრულ არს“ (მათე; 5).

ადამიანი, როგორც ხატება და მსგავსება, ღმერთს რამდენიმე ნიშნით ჰგავს... ზეციერკაცობით, მეტყველებით, ფიქრითა თუ ოცნებით, პიროვნულობით, სიყვარულის უნარით, შემოქმედებითი მადლით.

**ხახუტა ასანიძე თავის თავში ყოველივეს ფლობდა, ფლობდა ქრისტესმიერი სიყვარულით!..**

თებერვლის მიწურულს აგრარული უნივერსიტეტის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრიდან 66 წლის ასაკში გამოვეთხოვეთ რჩეული, ორიგინალური სახელის თუ ღირსების მფლობელ **ხახუტა ასანიძეს - აგრარული უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის ყოფილ პროფესორს.**

ულმობელმა დრომ მიითვალა ორმოცი დღე, გაუსაძლისი, ტკივილიანი თუ თავგზააბნეული... ოჯახისათვის, სამეზობლოსათვის, სამეგობროსათვის...

წახვედი და სამარადჟამო ტკივილი დაგვიტოვე ჩვენო ხახუტა!.. სულში სიკეთე გენთო ყოველთვის, გულს გულის წილ გასცემდი...

... და, დღეს... მოგონებებით ივსება ჭირისუფალთა „გულის კალათი“... კალათი შენივე სიყვარულით რომ იქსოვებოდა ჩვენთვის...

გზა, რომელიც **ხახუტა ასანიძემ** განვლო, გზაა უკვდავებისა, გზაა მარადიულობისა, გზაა ხსოვნა-არდავიწყებისა!..

**ხახუტა ასანიძის** გზაც უკვდავებასთან წილნაყარია.

გარინდებულა აგრარურელთა მეხსიერებაში ჩარჩენილი ნათელი ხსოვნა... **კარგ კაცს, კარგ ლექტორს ვინ დაუკარგავს, „რაც რამ სიკარგკაცე“ აქვს?! - ჭირის დაუწერელი კანონია!!!**

ქუდზე კაცი გაცილებდა აგრარული უნივერსიტეტის ღვთის სახლიდან, უკვალოდ არ ჩაუვლია შენი აღზრდილი თაობების ხსოვნად ჩარჩენილ ლოგიკურ ლექციებს!..

დაბოლოს, შენივე უფლის მონაწური, მშობლიური სიყვარულით ნაგები „იბერია“ მასპინძლობდა ჭირისუფალთ...

მრავალზე მრავალნი იყვნენ... ისმოდა ზღვარდაუდებელი შენი საქველმოქმედო საქმენი...

ერთი რამ გწამდეს ჩვენო ხახუტა! შენს გაკვალულ ბილიკზე ბალახი არასოდეს აბიბინდება.

გმირად შემორჩები გათენაძეების ოჯახს...

და, ჩვენს ჭერქვეშ, სანამ ქართული სუფრის მადლის ზეობა იქნება, ხსოვნის ფიალა, უპირველესად, შენს ხსოვნას მიეძღვნება.

**ლევან სანიკიძე** გიყვარდა... სამაგიდო წიგნებად გელაგა **„დედა ისტორია“** თუ **„უქარქაშო ხმლები“**... გაძლიერებდა და გადიადებდა, ზეციურ საუფლომდე გამაღლებდა ლევანის „საჭრეთლის მადლი“. ცრემლებად ეღვენთებოდა შენს ქართული სულით ნაძერწ-ნაქსოვ გულს, როცა ამჯერად ისტორიად ქცეულ ლევან სანიკიძის **„ქართველთა სამას ცხრა სირცხვილს“** კითხულობდი.

და შენს ოჯახში დღეს გაუსაძლისი გლოვაა... უჭირთ უშენოდ შვილებს, შვილიშვილებს, ერთგულ ცრემლშეუშრობელ მეუღლეს.

მადლიანი დღეების მადლი და წყალობა წაგეღოს სააქოდან.

და დაგვიტოვე კვალი, კვალი ერთობ ძნელად სავალი, ძნელად გასაგრძელებელი, რამეთუ ამ კვალს ჰქვია უ შ ე ნ ო დ!

**„აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა“!**

**თინა ჩხეიძე და ალექსანდრე გათენაძე**

ზაჰესის ბაგა-ბაღი – უბნის მშვენება

# ეს პატარები ჩემთვის ყველაფერია

**თუ** გინდათ, რომ თქვენი შვილები ბაღნარივით წარმტაც ტყე-პარკში, სუფთა ჰაერზე გაიზარდონ, ზაჰესის საბავშვო ბაგა-ბაღს უნდა ეწვიოთ. ლამაზად გაფორმებული ინტერიერით შენობაში შესვლისთანავე მოიხიბლებით, რომლის ისტორია 1970 წლიდან იწყება, თუმცა თავად ბაგა-ბაღის შესახებ ცნობები 1955 წლიდანაც მოიძებნება. მასპინძლობა მიმზიდველმა, ერუდიციით გამორჩეულმა დირექტორმა **ციცინო ადეიშვილმა** გამიწია. იგი პროფესიით ისტორიკოსია, 28 წელია სკოლამდელი აღზრდის ამ კერას ხელმძღვანელობს. აქ თბილი, კოლეგიალური გარემოა, ჯანსაღი, მოწესრიგებული სიტუაცია და პროფესიონალი, თავიანთ საქმეზე შეყვარებული აღმზრდელ-პედაგოგები მოღვაწეობენ.

ბაგა-ბაღის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სკოლამდელი აღზრდის სფეროში, არსებულ სახელმწიფო სტანდარტებზე დაყრდნობით, ასაკობრივი ჯგუფის შესაბამის სხვადასხვა აქტივობებს – სამაგიდო და სენსორულ, მათემატიკურ და კონსტრუქციულ, წიგნიერების და დრამატულს და სხვა თემატიკას. 5 ჯგუფში სულ 176 აღსაზრდელია. პატარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე ერთნაირად ზრუნავენ აღმზრდელები და აღმზრდელის თანაშემწეები: 5-6 წლიანთა ჯგუფი **„ფუტკრები“ – ნაზი გუცაშვილი, ლილიანა პაპავა, მაგული კახიშვილი;** 4-5 წლიანთა ჯგუფი **„იები“ – გულიზარ გუჩმაზაშვილი, ლელა ღამბაშიძე, ეკატერინე ბალხამიშვილი;** 4-5 წლიანთა ჯგუფი **„გვირილები“ – ლალი მათიაშვილი, ლია ჭედია, სოფიო ჭანუყვაძე;** 3-4 წლიანთა ჯგუფი **„პეპლები“ – სოფიო ხარშილაძე, ეკატერინე ბუტიკაშვილი, მაია ტოტოღაშვილი, სოფიკო ფრიდონაშვილი;** 2-3 წლიანთა ჯგუფი **„მერცხლები“ – ქეთევან გაზაშვილი, ნინო გულუაშვილი, ელენე შავდათუაშვილი.**

მომავალი თაობის აღზრდას ერთმანეთის მხარდამხარ ემსახურება და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს კოლექტივის თითოეული წევრი: დირექტორის მოადგილე **ნინო ავსაჯანიშვილი**, საქმისმწარმოებელი **ქეთევან ჩხიკვაძე**; მეთოდურ სამუშაოსა და ახალი პროგრამების დანერგვაში თავისი წვლილი შეაქვს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს **ირმა ადეიშვილს**; ყველა ბავშვთან ინდივიდუალურად მუშაობს ფსიქოლოგი **ლიანა კაპანაძე**; ჰიპერაქტიურ და სხვა საჭიროებების მქონე ბავშვებზე სპეც.პედაგოგი **თამარ გაჩეჩილაძე** ზრუნავს; ბავშვებს სამედიცინო დახმარებას უწევს ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **თამარ მაისურაძე.**

აქტივობებისა და ღონისძიებების მუსიკალურად გაფორმებაზე მუსიკის პედაგოგი **ნაირა ლალიაშვილი** ზრუნავს.

სააგენტოს მიერ შედგენილი საკმაოდ კალორიული მენიუ (1292 კალორია) თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული. მზარეული **ნინო ოქრუაშვილი** და მზარეულის დამხმარე **იამზე ვეფხვაძე** პატარებს უგემრიელეს კერძებს უმზადებენ.

დაწკრიალებულ ჯგუფებსა და დერეფნებს, სველ წერტილებს და საოცარ სისუფთავეს დამლაგებლებს: **ეკატერინე ქებაძეს, ლელა შუკაკიძეს, თამუნა კოკოზაშვილს** და მრეცხავებს: **მარიამ მეფარიშვილს, ნინო ბეჟაშვილს, ნათია გულიაშვილს** და **ცისნამი ტუჩაშვილს** უნდა უმადლოდნენ; პატარების დაცულობას ემსახურებიან თავისი საქმის სპეციალისტები **გია ოხანაშვილი** და **გიორგი ხუციშვილი.**

ბაგა-ბაღის აღსაზრდელები გატაცებით მონაწილეობენ საბავშვო შემოქმედების გამოფენა-ფესტივალებში და თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის სახელით არაერთი მადლობის სიგელი გადაეცათ – **„თბილისობის“** დღისადმი, საბავშვო ჟურნალ **„დილას“** 110 წლის იუბილისადმი, **„შემოდგომის ფერია“, „პატარა ხელებით“** და სხვა ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის.

უკანასკნელ წლებში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ჯგუფებში, მოწესრიგდა სველი წერტილები, შეიქმნა ინკლუზიური გარემო და გაზაფხულზე პანდუსის გაკეთება, ეზოს კეთილმოწყობა და საბავშვო-გასართობი ატრაქციონების დადგმა იგეგმება.

ბაღში არსებობს მშობელთა გაერთიანება და დიდია მათი ჩართულობა. შემოდგომასა და გაზაფხულზე ტარდება **„ღია კარი – ერთი დღე საბავშვო ბაღში,“** სადაც ყველა მსურველ მშობელს შესაძლებლობა აქვს დილიდან საღამომდე დააკვირდეს, როგორ ატარებენ დროს მათი პატარები.

**ციცინო ადეიშვილი:** „საბავშვო ბაღი ჩემთვის ყველაფერია. ეს რთული, შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმეა, მაგრამ ბედნიერი ვარ, როცა წლების შემდეგ, ჩემი გაზრდილი ბავშვები მხვდებიან და სიყვარულით მესალმებიან.“ მართლაცდა, ამაზე დიდი საჩუქარი არ არსებობს პედაგოგისთვის.

**ნათია გუგუნავა**

ცეროდენების ზღაპრული სამყარო – 85-ე ბაგა-ბაღი

# წარმატების ასალმები ალსაღვლილა და ლიუვარულია

**თანამედროვე** საერთაშორისო მეთოდოლოგია და სტანდარტები დროულად და ეფექტიანად ინერგება ბავშვთა აღზრდის ამ კერაში. თბილისის 85-ე ბაგა-ბაღი ვაჟა-ფშაველას გამზირზე 1963 წლიდან ფუნქციონირებს, სადაც წლების მანძილზე ნიჭიერი, გამოცდილი, შრომისმოყვარე აღმზრდელ-პედაგოგები, შემოქმედებითი თუ ტექნიკური პერსონალი მოღვაწეობდა. ახალი დირექტორი **მაგული ლოლაძე** პროფესიით ფილოლოგია, წლებია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში პატარებზე ზრუნავს და ყველაფერს აკეთებს მათთვის საიმედო და ჯანსაღი

გარემოს შესაქმნელად. მისი დანიშვნის დღიდან ამ ბაგა-ბაღში ეტაპობრივად ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, კეთილმოეწყო ეზო, გაკეთდა ამფითეატრი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისი პანდუსი, სპორტულ-გასართობი მოედანი, დაიდგა საბავშვო ატრაქციონი, სასრიალო პლატფორმითა და გასაძრომებით, აიწონა-დაიწონა, დარგეს ხეხილი, ნაძვის 20-მდე ძირი.

სწავლებისა და აღზრდის ახლებური სტანდარტების შესაბამისად, ბაგა-ბაღში წარმატებით ხორციელდება სააგენტოსა თუ მერიის მიერ შემოთავაზებული ყველა აქტივობა. თბილისის ბაღებში პირველი წელია, რაც დაინერგა გარემოს დაცვითი განათლება. **სასკოლო მზაობის** 5-6 წლიანთა ჯგუფში (აღმზრდელი – **ლელა ტყემალაძე**, თანაშემწე – **ნატო ნოზაძე**) ჩატარდა ეკო-კონფერენცია სკოლამდელი გარემოს დაცვითი განათლების ფარგლებში, რომელსაც ესწრებოდნენ გარემოს დაცვისა და განათლების ცენტრის წარმომადგენლები – **ია პაპიაშვილი** და **ნათია სარალიძე.** პატარებმა კარგად გაიაზრეს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომ-

მარათონში ჩაებნენ; 3-4 წლიანთა ჯგუფში (აღმზრდელები – **მაია ფალავანდიშვილი** და **მარიამ ფიცხელაური**, აღმზრდელის თანაშემწე – **ხათუნა ტეფნაძე**) ჩატარდა ღია გაკვეთილი **„მიზანი – ცოდნისა და უნარ-ჩვევების ერთობლიობა;“** 4-5 წლიანთ ჯგუფში (აღმზრდელი – **ირმა სომხიშვილი**) **„დედის დღისადმი“** მიძღვნილ ღონისძიებაზე პატარებმა დედის სიყვარულსა და პატივისცემაზე ლექსები წაიკითხეს.

სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასა და სხვა აქტივობებზე გვესაუბრა საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **თამარ დუმბაძე,** რომელსაც თითქმის 10 წელია თავისი წვლილი შეაქვს ახალი პროგრამების დანერგვაში.

კოლექტივში თბილი, კოლეგიალური და მოწესრიგებული გარემოა, სადაც პროფესიონალი აღმზრდელ-პედაგოგები: **ინგა მინ-დიაშვილი, ირმა სომხიშვილი, ინგა ლაზარევა, ლეილა ბეჟანიშვილი, ტატიანა ილურიძე, ლელა ტყემალაძე, ლელა ინაშვილი, ნათელა ბიბილაშვილი, ლალი მუქერია, მაია ფალავანდიშვილი, მარიამ ფიცხელაური, მარიამ ნანეიშვილი,** საინტერესო და ხალისიანი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შექმნაზე ზრუნავენ. დილის წრეზე თემას განიხილავენ და პატარები, არჩევანის თავისუფლებიდან გამომდინარე, ოთახის სხვადასხვა კუთხეში მოწყობილ ცენტრებში – წიგნიერების, ხელოვნების, ბუნებისმეტყველების, სამაგიდო, კუბურების და სხვა – ნაწილდებიან, სადაც გეგმის მიხედვით ხორციელდება აქტივობები, რომელთა თემასაც საღამოს წრეზე აჯამებენ.

პატარებს მუდამ ემახსოვრებათ

# საბიმუშო აღმზრდელები და კმაყოფილი დირექტორი

**167-ე** ბაგა-ბაღი, ის საბავშვო დაწესებულებაა, რომელიც გამოირჩევა პატარებთან ინდივიდუალური მიდგომით და გულისხმიერი დამოკიდებულებით. ბაღის მიღწევები კი, ბავშვებთან და პერსონალთან სწორი დამოკიდებულების შედეგია. აქ, მთელი კოლექტივი ერთ მუშტად არის შეკრული და შეიძლება ითქვას, უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს. მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, ყვავილებითა და სხვადასხვა თვალსაჩინოებებით მორთული დერეფნები და ოთახები, მშვიდ და კონფორტულ სიტუაციას ჰქმნის და პატარებს კარგ განწყობაზე აყენებს.

დირექტორი **თვალმაისა გოგოხია**, ძალღონეს არ იშუ-რებს, რათა ცეროდენებს კომფორტული გარემო შეუქმნას და დედობრივი მზრუნველობა არ მოაკლოს. იგი პროფესიით ექიმია და დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. პროფესიიდან გამომდინარე, იგი ძალიან ახლოსაა ბავშვებთან. ქალბატონი თვალმაისა, უკვე 7 წელიწადია მშვენივრად უძღვება ბაგა-ბაღს. მისი მოსვლის დღიდან აქ მართლაც ბევრი რამ გაკეთდა. ბაღი აღჭურვილია შესაბამისი საბავშვო ლიტერატურით, სათამაშოებით, ყველა საჭირო ინვენტარით.

**თვალმაისა გოგოხია:** ჩემი დირექტორობის პერიოდში, შეძლებისდაგვარად მოვაწესრიგე ინფრასტრუქტურა, დავამატე ოთხი ახალი ჯგუფი, რომელსაც ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. სააგენტოს დახმარებით გარემონტდა სველი წერტილები, გაკეთდა ახალი ბაღი. ტერიტორიაზე, ატრაქციონები, დაიგო ასფალტის საფარი და ა.შ ამ ეტაპზე შენობის ფასადი დარჩა სარემონტო. ბაგა-ბაღების სააგენტოს და **კახაბერ გვანცელაძის** დაპირებით, უახლოეს მომავალში ესეც მოგვარდება. მეთოდურად გაწერილი გეგმის მიხედვით ვმუშაობთ. ესენია: **„სასკოლო მზაობის პროგრამა“, აქტივობათა კრებული** და **სასკოლო სააღმზრდელო პროგრამა** – საბავშვო ბაღებისათვის. თანამშრომლები ძალიან მონდომებულები არიან და მაქსიმალურად ყველაფერს აკეთებენ ჩვენი აღსაზრდელებისთვის. განსაკუთრებით მინდა გამოვყო აღმზრდელები, რომლებიც თავდაუზოგავად იღვწიან ცეროდენების საკეთილდღეოდ. ერთი შეხედვით აღმზრდელის საქმე ძალიან მარტივია, მაგრამ რეალურად ეს ერთ – ერთი ურთულესი პროფესიაა. მინდა მადლობა გადავუხადო ბაღის მთელ კოლექტივს თავდაუზოგავი შრომისთვის. ჩვენი დამამთავრებელი ჯგუფის აღსაზრდელებს (ფოტოებში არიან წარმოდგენილი), რომლებიც სკოლაში მიდიან და ცხოვრების ახალ საფეხურზე გადადიან, გზას დავულოცავთ და წარმატებებს ვუსურვებთ.

ამჟამად, ბაგა-ბაღში ძირითადი ყურადღება ეთმობა ცუგრუმელების შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მთელი კოლექტივი მოწოდებულია იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი საინტერესო ღონისძიება ჩაატარონ. სისტემატურად იმართება სეზონური ზეიმები, მხიარული სტარტები, ღია მეცადინეობები – თოჯინების თეატრი თანამშრომლების მონაწილეობით. ერთი სიტყვით, სხვადასხვა აქტივობებით ბაღის აღსაზრდელები, სტუმრებს, მშობლებს თავიანთი შემოქმედებით ხიბლავენ.

დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს თანამშრომლების საქმიანობას და მათ პროფესიონალიზმს, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ პატარებს ვარდისფერი ბავშვობა ჰქონდეთ, ბაღში გატარებული წლები მთელი ცხოვრება დაამახსოვრდეთ.

**მზია გოგოძე**

დიდი ეროვნული საქმე

# სამი ბანოვანის ოპტიმისტური „შეთქმულება“

**საბჭოთა** პერიოდში ტვინში გვიჭედავდნენ, ისტორიას ხალხთა მასები ქმნიდნენ და ქმნიანო. კი „ფაფხურობდნენ“ რაღაცას მავანი პიროვნებანი, მაგრამ გადამწყვეტი მაინც მასაა და მასაო. არადა, ისტორია სწორედ საწინააღმდეგოს ღაღადებს.

აი, თუნდაც ეს სახელდობრივი ვითარება მოვიხმოთ. სამი ბანოვანი: **ლამარა გერგედავა, გულნაზ ხარაიშვილი** და **ლუარა სორდია.**

ქალბატონმა ლამარამ მაშინდელი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა გალის რაიონის ჭუბურხინჯის პირველ საშუალო სკოლასი. შემდეგ – ომი, დევნილობა და თბილისის 167-ე საჯარო სკოლა. არის ფილოლოგიის ლექტორი, **ჯუმბერ ლეჟავას** აკადემიის წევრი.

ქალბატონი **გულნაზ ხარაიშვილი.** მას მრავალი სრულიად დამსახურებული ტიტული აქვს, მაგრამ ამჯერად მხოლოდ **ჯუმბერ ლეჟავას** აკადემიის თავმჯდომარეობითა და ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელ-მთავარ რედაქტორობით შემოვიფარგლებით.

ქალბატონი **ლუარა სორდია:** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომის ავტორი და ქალბატონ ლამარას მეცნიერ-ხელმძღვანელი.

ქალბატონმა ლამარამ 2011 წელს წაიკითხა წიგნიერების საერთაშორისო კვლევის მასალები. ეს ორგანიზაცია ყოველ 5 წელიწადში ამოწმებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ყმაწვილების წიგნიერების დონეს. 2006 წელს საქართველო მაჩანჩალა გახლდათ. 2011, ვერ გეტყვით როგორ და რანაირად, მაგრამ მდგომარეობა ოდნავ გამოსწორებულა.

ამ გამოკვლევას ქალბტონ ლამარამდეც და მის შემდეგაც, ცხადია, ბარე ორი წაიკითხავდა. თანაც, სწორედ ისინი, ვისაც უპირველესად მიუძღვით ბრალი ჩვენი ყმაწვილების სრულ უწიგნურობაში – კომპიუტერი და მაგის ჯანი, რაღა დროს წიგნია, მოჭამა თავისიო.

და, აი, პიროვნებამ – ქალბატონმა ლამარამ განიზრახა, რამდენსაც შეძლებდა, იმდენი აღსაზრდელი მიებრუნებინა წიგნიერებისაკენ. განიზრახა და შეძლო კიდეც.

ზღაპრებით დაიწყეს – ხალხური შემოქმედების უძირო საუნჯით. მერე პოეტი თუ პროზაიკოსი მშობლების ნაწარმოებები განიხილეს. თავიდან მათთან ხომ უფრო თამამი იქნებოდნენ ბავშვები...

ნათქვამია, კარგი წიგნი კარგ წიგნს წაგაკითხებს, ხოლო კარგი ადამიანი კარგ ადამიანს გაგაცნობსო.

ქალბატონმა ლუარამ – პიროვნებამ, ასევე რომ შესტკიოდა გული მომავალ თაობაზე, ნახა, რა დიდებულ საქმეს შეეჭიდა ქალბატონი ლამარა და ქვეყნის მოჭირნახულე ქალბატონ გულნაზს – პიროვნებას გააცნო.

დაბრძანდა ეს სამი სამშობლოს სატკივარით გულდათუთქული მანდილოსანი **საფიხვნოდ** და ქალბატონმა გულნაზმა უმალ შესთავაზა ქალბატონ ლამარას – ჟურნალში „ნორჩი ათინათელების“ განყოფილებას დავაარსებ, ითანამშრომლეთ და თქვენი აღსაზრდელების შემოქმედებაც დავბეჭდოთო. ცხადია, ეს იდეა უცებ არ მოსვლია. სულსა და გულში ნასათუთები ჰქონდა და, სავარაუდოდ, ბიძგს, დასაწყისს ელოდა.

გადახედეთ ჟურნალ **„ათინათის“** ამ შეხვედრის შემდგომ ნომრებს. მყისვე თვალში გეცემათ ყმაწვილების შემოქმედების ხარისხი. მერე და მერე კი გეოგრაფიაც გაფართოვდა, თითქმის, სრულიად საქართველო მოიცვა და ისიც აშკარაა, რომ მთავარ რედაქტორს არ ენანება ადგილი ამ უაღრესად ნიჭიერი გოგო-ბიჭებისთვის.

ქალბატონი გულნაზი თავად დადის მთელს საქართველოში, ხვდება ყმაწვილებს, არწმუნებს წიგნის გამუზომელ სიკეთეში და, აგერ, შედეგი: რუსთავი, ქუთაისი, ჭიათურა, საჩხერე, ლაგოდეხი, თერჯოლა, სამტრედია... კიდევ მეტი: უცხოეთში გადაკარგული ოჯახების შვილებმაც გამოგზავნეს თავისი შემოქმედების ნიმუშები. მათ ხომ მაინც აღარ დაავიწყდებათ „თვისი ენა ქართული“, ხომ მაინც ექნებათ ფესვი აქ გადგმული!

რამდენმა მოსწავლემ აიხდინა ოცნება! ან, როგორ იოცნებებდა ბავშვობასა თუ მოზარდობაში ასეთ სოლიდურ ჟურნალში რომ დაუბეჭდავდნენ ლექსს, ესეს, ჩანახატსა თუ მოთხრობას. მეტი წახალისება ვერ წარმომიდგენია!

კიდევ ერთი დიდებული საქმე კეთდება: ხიდი გაიდო უფროს და უმცროს შემოქმედთა შორის!

ნორჩი ათინათელები ჟურნალის ყოველი ნომრის წარდგენაში მონაწილეობენ. ყმაწვილური ხალისითა და ენერგიით ავსებენ გარემოს.

ქალბატონ ლამარას მკითხველთა კლუბში უკვე 57 მოსწავლე ჰყავს. კითხვით ხომ კითხულობენ და თავადაც წერენ, მაგრამ სხვა თანატოლებსაც აკვალიანებენ, წიგნიერების გზაზე აყენებენ.

სკოლაც ხელს უწყობს კლუბის მუშაობას. დირექტორი – ქალბატონი **ელენე ფუტკარაძე** და მისი მოადგილე **ლია ნიშნიანიძე** მის ყოველ ღონისძიებას ესწრებიან, ნორჩ ავტორებს „ათინათის“ ნომრებს უძენენ და საზეიმოდ გადასცემენ.

აი, ასე, ჩემო ბატონო, სამმა პიროვნებამ, სამშობლოზე შეყვარებულმა სამმა „შეთქმულმა“ ქალბატონმა შეძლო წამოეწყო, დაელაგებინა და ფართო გზაზე გაეყვანა მართლაცდა დიდი ეროვნული საქმე.

**კოტე ოდიშელიძე**

ნაირა ნიჟარაძის ახალი ლექსები

# ვაგაფხულებენ ცინცხალი

**იგი** ჩვენი გაზეთის ყველაზე ხელხვავიანი და სასურველი ავტორია, ლამის თანამშრომელი გაგვიხდეს. გულისფანცქალით ველოდებით ყოველ ნომერში მის დღევანდელობით დამუხტულ ცინცხალ ლექსებს.

პოეტი, თითქოს ექიმი ცხოვრებას პულსს უსინჯავსო, მხატვრულ ფერებში წარმოაჩენს საჭირბოროტო საკითხებს.

* * *

## პასპორტი

**ქართველი** რომ ვარ ჩამიწერეთ
პასპორტში წამსვე,
ეს ერთი სიტყვა, გეფიცებით
სიცოცხლით მავსებს.
– ესტონელი ხართ?
მეკითხება ერთი ჭაბუკი,
– არა, – ვპასუხობ,
– მაშ, მაჩვენეთ
თქვენი საბუთი.
– თქვენ ბერძენი ხართ?
ისე გავხართ ბერძენ
ქალბატონს,
– არა, რას ამბობთ,
ეროვნებას არა ვღალატობ.
– მე ქართველი ვარ,
ცხვირით, ტანით და
ხასიათით,
და საქართველოს ზეცა მიყვარს,
მისი ჭიატი.
არა იმიტომ, კარგი ჯიშით
რომ თავი ვიქო,
ჩემი ბებია, პაპის პაპა
ქართველი იყო.
სხვაგვარ წოდებას არასოდეს,
არსად არ ველი.
და მეც პასპორტში
ჩამიწერეთ,
რომ ვარ ქართველი!

## დედა და დედაბუნება

**მე** მომაგონდა უცაბედად
დედა საბრალო.
მაშინ გაზაფხულს შემოჰქონდა
ქინძი, ომბალო.
ვუთხარი: – დედა, შეხე, როგორ
ცოცხლდება ბაღი.
სურნელიც მოდის უჩვეულო,
სრულიად ახლის.
ვარდისფერობენ ატმები და
წერწეტი ბლები,
ათასნაირი ფერადებით
შეიმკო მთები.
– ნაძვებს გახედე, ვით ისხამენ
ოქროსფერ ყვავილს,
ცას კი მოედო ცისარტყელას
შვიდფერი რკალი.
– რა ლამაზია, როგორ ფეთქავს
ეს ყველაფერი,
ირგვლივ ბუნება აღორძინდა
და წყნარად მღერის...
– ეჰ, – მითხრა დედამ, – სიბერისგან
ვერაფერს ვხედავ,
ჩემთვის ნისლშია ეს მიდამო,
და მოჩანს თეთრად...
ბუნების ძალამ, ყოვლის შემძლემ,
ასე ინება,
რომ არ დავბერდე, ეს ხომ უფრო
ცუდი იქნება?!

## ლოცვა

**ღმერთო** ერთო, ყველა ქართველს,
საქართველო შეაყვარე,
მტერს და დუშმანს კარზე მომხტარს,
ქვა და კოხი შეაყარე.
მიეც ძალა უცხოელთან
საშიშარი საზღვრის დაცვის,
აარიდე სავალ გზაზე.
ეკალი და ბურდო-ქაცვი.

ღმერთო ერთო, ყველა ქართველს
საქართველო შეაყვარე.
მტერს და დუშმანს კარზე მომხტარს,
ქვა და კოხი შეაყარე!

## „ლილეო" და „ლოლეო"

„ლილე" მზის საგალობელი,
სითბო-ხალისის მფლობელი,
როცა მღერიან სვანები,
ზანზარებს მთების ქანები.
მზისკენ მიჰქრიან ჰანგები,
მაგრდება კოშკი – ნაგები,
„ლილე" – გმირების სიმღერა,
გული სიამით გიღელავს.
„ლალე" – საქვეყნოდ ქებული,
საამო ხმების კრებული,
წინაპართ მონაგონია,
ბაბუ მეძახის მგონია.
თუ გიხარია, მღერიხარ,
ცის სილაჟვარდის ფერი ხარ,
ვინაც იმღერა „ლილეო",
მას ყელში ვენაცვალეო!

# ბჯოლ ალგასეჯა

**ხშირად** გაიგონებთ: თავმოყვარეობა არა აქვსო. თავმოყვარეობის დეფიციტი კი მლიქვნელობაში გადაიზრდება. მლიქვნელობა კი ღირსების შემლახველია.

ბოჩოლა რძით რომ გაიჭყიპება, მინდორში კუნტრუშს დაიწყებს, უაზროდ გაგიჟდება, ხან აქეთ მიაწყდება და ხან იქით მიეხეთქება, ტლინკაობს. ამას ეძახიან **„ხბოს აღტაცებას"!**

არ ვიცი ეს თვისება ჩვენს ხასიათში ზის თუ არა, მაგრამ

ცხადია, ამის მსგავსი, სამწუხაროდ, ხშირად გვემართება: მუდამ სხვას

ვაკრიტიკებთ და საკუთარ ქცევას არ ვუკვირდებით.

**„ხბოს აღტაცების"** ორი მაგალითი გავიხსენოთ, ძვირფასო მკითხველო

– ერთი იმ საუკუნიდან, მეორე – ამ საუკუნიდან.

მაშინ რუსი მწერალი **ასტაფიევი** გვესტუმრა. გადაყვნენ მას ჩვენი მწერლები, აქეს, ადიდეს, „დევების აუღებელი სუფრა" გაუშალეს, ჩიტის

რძე არ მოაკლეს, სამოთხის ნირვანაში აბანავეს და იქ თევზი-ციმორი დააჭერინეს. ჰოდა,რომ დაბრუნდა **ასტაფიევი** მოსკოვში,პასკვილი **„ციმორის ჭერა"** გამოაცხო: ქართველები უსაქმურები ხართო, ღვინის ყლაპვის მეტი არაფერი იცითო, ორსული ქალივით უშველებელი ღიპი გადგათო. ამ საუკუნეში კი თურქმა მწერალმა **ორჰან ფამუქმ** ნობელის პრემია მიიღო. სტუმართმოყვარეობის მოტივით (უფრო ღრმად თუ ჩავწვდებით განაზრახს, სხვა მოტივითაც) გადაირივნენ ახალგაზრდა ქართველი მწ- ერლები, ჩამოიყვანეს, **„პრეზენტაცია"** მოუწყეს, **„სუფრადანციაც"** ზედ მი-

აყოლეს.

ერთმა მწერალმა ჰკითხა **„უძვირფასეს"** სტუმარს, რუსთაველის **„ვეფხისტყაოსანზე"** რას გვეტყვითო? – არც კი მაქვს წაკითხულიო(?!)

ახლახან ევროვიზალიბერალიზაციაზეც ხომ არ მოგეძალათ ბევრს **„ხბოს აღტაცება"?**

თავმოყვარეობა – ღირსებისა და არა მონური ქედმოხრის

გრძნობა კარგი საქონელია, ღმერთმანი!

**მოსე მწერალი**

## ხელმომწერთა საყურადღებოდ!

**გაზეთ** „სახალხო განათლება+"-ის გამოწერა შეგიძლიათ ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელ სააგენტოებში „მაცნესა" (ტ.2 143 906) და „პლანეტა ფორტეში" (ტ.2 998 990) ან რედაქციის ანგარიშზე: ს/ს „თიბისი ბანკი" კოდი TBCGBGE 22 მიმღები: პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი: სახალხო განათლება+
ა/ა GE94TB7249236080100007
ს/კ 402010587
ჩარიცხოთ 10 ლარი – ექვსი თვით, 20 ლარი – ერთი წლით, გამოგზავნოთ ელ-ფოსტაზე saxgani@gmail.com და მანდვე მოგვწეროთ მისამართი. მიიღებთ ყველა ნომერს მითითებულ მისამართზე.

**რედაქცია**


## გამომცემლობა „ზენაარი" გთავაზობთ:

**საგამომცემლო** და პოლიგრაფიულ მომსახურებას.
ჩვენთან შეგიძლიათ, შუკვეთოთ და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული პროდუქცია მიიღოთ შედავათიან ფასებში.
წიგნები;
ბროშურები;
ჟურნალები;
ბუკლეტები;
გაზეთები და სხვა სახის ნაბეჭდი პროდუქცია.
განსაკუთრებული შედავათებით ისარგებლებენ პედაგოგები და პენსიონერი პედაგოგები.
მისამართი: თბილისი, ზანდუკელის 1. (მ. „რუსთაველის" თავზე, მერაბ კოსტავას ეზო).
ტელ.: (032) 2 98 48 07; 599 343 727.
ელ ფოსტა: **zurkob@gmail.com**



მთ. რედაქტორი
**ბორის მიშველაძე**

**სახალხო განათლება+ N6 (4565)**
**11 აპრილი / 2018 წელი**
**გაზეთი გამოდის 1928 წლიდან**

## რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 597 765 810;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113